

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სატრენინგო მომსახურების შესყიდვის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № 4-1

ქ. ბათუმი

10 ივნისი 2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

თინათინ ზოიძე - კომისიის თავმჯდომარე, დეპარტამენტის თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

თამარ კაიკაციშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ლენა ჩაჩუა - საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი.

ლეილა დავითაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი, ასევე კომისიის აპარატის წევრი.

კომისიის აპარატის წევრი:

ნინო მიქელაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოსმინეს:

1. ლეილა დავითაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) გზით. შესაბამისად საჭიროა კომისიის მიერ მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

2. სატრენინგო მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) გამოცხადებას.

დაადგინეს:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სატრენინგო მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე:  /თ. ზოიძე/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:  /თ. კაიკაციშვილი/

კომისიის წევრები:  /ლ. ჩაჩუა/

 /ლ. დავითაძე/

კომისიის აპარატის წევრი:  /ნ. მიქელაძე/